

ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და

ქვეპროგრამების შესახებ

სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი (390402)

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:

ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის ღონისძიებები (390402)

პროგრამის განმახორციელებელი სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
390402-01	პროგრამა: აპარატის ხარჯი	479,0	555,0	428,5	77.2%
390402-02	პროგრამა: ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის ღონისძიებები	1050,0	1007,4	1007,3	99.9%

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

2016 წლის II კვარტალში ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით ჩატარებული კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა, ბავშვთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი, პრიორიტეტების შესაბამისი შემდეგი 51 პროექტი:

1. ა.(ა).ი.პ „მზიანი“, პროექტი - „ახალი მზიური“, თანხა - 28240-00 ლარი;
2. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდული ასოციაცია დრონი“, პროექტი - „წიგნო-ბარი“, თანხა - 11225-00 ლარი;
3. ა.(ა).ი.პ „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია“, პროექტი - „ხის საწარმო შშმ პირთა სოციალური ინკლუზიისთვის“, თანხა - 20969-00 ლარი;
4. ა.(ა).ი.პ „არტ-ისტი“, პროექტი - „ქართული ფოლკლორი კომპიუტერულ თამაშებში“, თანხა - 24500-00 ლარი;
5. ა.(ა).ი.პ „მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრი“, პროექტი - „აქსელერატორი 9.8“, თანხა - 22312 ლარი და 50 თეთრი;
6. ა.(ა).ი.პ „აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირი "ჰერა", პროექტი - „სოციალური საწარმო აუდიო-მულტი სტუდია „ჰერა“ გუმინ, დღეს, ხვალ“, თანხა - 19810-00 ლარი;

7. ა.(ა).ი.პ „გრინ ლაიფი“, პროექტი - „კავკასიური სოჭის სანერგე“, თანხა - 25000-00 ლარი;
8. ა.(ა).ი.პ „საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია“, პროექტი - „რეწვის პროდუქციის განვითარება და მარკეტინგი - ახალგაზრდა ოსტატების ეკონომიკური გაძლიერებისთვის“, თანხა - 23077-00 ლარი;
9. ა.(ა).ი.პ „ფუდბანკ საქართველო“, პროექტი - „ორნამენტი“, თანხა - 23480-00 ლარი;
10. ა.(ა).ი.პ „ასოციაცია ქალი, ბავშვი და სოციუმი“, პროექტი - „ველოტანდემი უსინათლო და მცირემხედველი შშმ პირებისათვის“, თანხა - 24285-00 ლარი;
11. ა.(ა).ი.პ „იმედი პლიუსი“, პროექტი - „მეთოდური წიგნის სახელწოდებით "ადაპტური ფიზიკური აღზრდა ოჯახურ პირობებში" გამოცემა“, თანხა - 6450-00;
12. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდების ინტეგრაციის, განათლების და კულტურული განვითარების ასოციაცია“, პროექტი - „იტალიური ეზოს ფესტივალი“, თანხა - 24788 ლარი და 70 თეთრი;
13. ა.(ა).ი.პ „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21-ე“, პროექტი - „ქართული ენის შემსწავლელი კურსი ფერეიდნელი ქართველებისათვის“, თანხა - 21350-00 ლარი;
14. ა.(ა).ი.პ „ორგანიზაცია ჯი თი ეს“, პროექტი - „სოციალური მეწარმეობის ფოტოისტორია საქართველოში“, თანხა - 15276-00 ლარი;
15. ა.(ა).ი.პ „საინფორმაციო ბანკი-საქართველოს ახალგაზრდობა“, პროექტი - „Youth Georgia(ახალგაზრდული საქართველო)“, თანხა - 21219-00 ლარი;
16. ა.(ა).ი.პ „ხელოვანებისა და კურატორების საზოგადოება“, პროექტი - „სინთეზი“, თანხა - 24510-00 ლარი;
17. ა.(ა).ი.პ „კავშირი განვითარებისთვის“, პროექტი - „უკანა ფშავში მცირე მეფუტკრეობის ცენტრის შექმნა“, თანხა - 17096 ლარი და 50 თეთრი;
18. ა.(ა).ი.პ „გლობალური თანადგომა“, პროექტი - „სნოს ახალგაზრდული კემპინგცენტრი“, თანხა - 23000-00 ლარი;
19. ა.(ა).ი.პ „ხევსურეთი და თემი“, პროექტი - „სოციალური საწარმოს დაფუძვნება - “არაბული Arthouse“ კულტურის ცენტრი/ტრადიციული ხელსაქმის სახელოსნო/სასწავლო ცენტრი“, თანხა - 19331-00 ლარი;
20. ა.(ა).ი.პ „ყაზბეგის ახალგაზრდული ცენტრი“, პროექტი - „მეკლდეურობის განვითარება ყაზბეგის რაიონში“, თანხა - 10500-00 ლარი;
21. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდა მკვლევართა ცენტრი უცნობი საქართველო“, პროექტი - „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიმბოლოები“, თანხა - 24800-00 ლარი;
22. ა.(ა).ი.პ „საქართველოში მცხოვრებ ქისტ ქალთა საქველმოქმედო ფონდი მარშუა კავკაზ“, პროექტი - „ნექტარი“, თანხა - 21300-00 ლარი;
23. ა.(ა).ი.პ „პანკისის ახალგაზრდული ცენტრი“, პროექტი - „სოციალური კაფე და სასწავლო კურსები პანკისის ხეობაში“, თანხა - 29582 ლარი და 50 თეთრი;
24. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები მომავლისა და ცვლილებებისთვის“, პროექტი - „სოციალური საწარმო"თუშეთი“, თანხა - 22597-00 ლარი;
25. ა.(ა).ი.პ „სამოქალაქო ინიციატივა - Civic Initiative“, პროექტი - „ცოდნის კაფე“, თანხა - 21154-00 ლარი;
26. ა.(ა).ი.პ „ალტერნატიული განათლების აკადემია“, პროექტი - „Youth Room“, თანხა - 27350-00 ლარი;
27. ა.(ა).ი.პ „რეგიონული კინოს ასოციაცია“, პროექტი - „სოციალური არტ კაფე ბოლნისში“, თანხა - 24675-00 ლარი;
28. ა.(ა).ი.პ „ეთიკვინანსი“, პროექტი - „სოციალური საწარმო „სობისური-ს“ საწარმოო შესაძლებლობების ზრდა და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა“, თანხა - 23170 ლარი და 50 თეთრი;
29. ა.(ა).ი.პ „შიდა ქართლის სოციალური მეწარმეობა“, პროექტი - „სოციალური საწარმო - ჩემი ფუტკარი“, თანხა - 22000-00 ლარი;
30. ა.(ა).ი.პ „წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი“, პროექტი - „ტრადიციული რეწვის სწავლება წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის რეაბილიტაციის ცენტრის შშმ აღსაზრდელებისა და სოფ. ბეზნისის ახალგაზრდების გაძლიერებისთვის“, თანხა - 12325-00 ლარი;
31. ა.(ა).ი.პ „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“, პროექტი - „შშმ პირთა ხელშეწყობა პროფესიული განათლების და დასაქმებისათვის“, თანხა - 37043-00 ლარი;

32. ა.(ა).ი.პ „ფანტასტი“, პროექტი - „ვეფხისტყაოსნის დაფის თამაში“, თანხა - 9434-00 ლარი;
33. ა.(ა).ი.პ „ჰელფინგ ჰენდ“, პროექტი - „სოციალური სახელოსნო ბორჯომში“, თანხა - 24294-00 ლარი;
34. ა.(ა).ი.პ „რეგიონალური განვითარების ახალგაზრდული ფონდი“, პროექტი - „ღია სივრცე (OPEN SPACE)“, თანხა - 24300-00 ლარი;
35. ა.(ა).ი.პ „არქეიდ“, პროექტი - „არტისტების რეზიდენცია და საწარმო“, თანხა - 19085-00 ლარი;
36. ა.(ა).ი.პ „წყალტუბოს განვითარების ფონდი“, პროექტი - „ვირტუალური ტური იმერეთში“, თანხა - 25000-00 ლარი;
37. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები ცვლილებებისთვის“, პროექტი - „ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა გურიაში სანერგე მეურნეობის განვითარების გზით“, თანხა - 20125-00 ლარი;
38. ა.(ა).ი.პ „ჩვენი ჯანსაღი და სპორტული თაობა“, პროექტი - „ბურთი და მოედანი“, თანხა - 15420-00 ლარი;
39. ა.(ა).ი.პ „გურიის ახალგაზრდული ინიციატივა“, პროექტი - „გურიის ახალგაზრდული დღეები“, თანხა - 17890-00 ლარი;
40. ა.(ა).ი.პ „რადარამი“, პროექტი - „რადარამი“ - წაიკითხე და შემოგვიერთდი“, თანხა - 21200-00 ლარი;
41. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის“, პროექტი - „დასაქმება და არაფორმალური განათლება სამეგრელოს ახალგაზრდებისთვის“, თანხა - 23255-00 ლარი;
42. ა.(ა).ი.პ „გავაძლიეროთ სოფლად ახალგაზრდები“, პროექტი - „TRAVEL SVANETI“, თანხა - 12519 ლარი და 50 თეთრი;
43. ა.(ა).ი.პ „ფარი 2009“, პროექტი - „ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით "შურუბუმუ"-ს კანონის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიზიტორთა თავშესაფრების კეთილმოწყობა და ტურისტული ინვენტარით მათი უზრუნველყოფა“, თანხა - 24589-00 ლარი;
44. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები მთისთვის“, პროექტი - „ახალგაზრდული ცენტრი ბეთქილი“, თანხა - 19995-00 ლარი;
45. ა.(ა).ი.პ „მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის“, პროექტი - „ახალგაზრდები მაღალმთიანი რეგიონებიდან“, თანხა - 17696-00 ლარი;
46. ა.(ა).ი.პ „ხვამლი 2015“, პროექტი - „თანადგომა მდგრადი განვითარებისათვის“, თანხა - 16100 ლარი და 08 თეთრი;
47. ა.(ა).ი.პ „რაჭის განვითარების ცენტრი“, პროექტი - „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი,ჯანმრთელობის გარანტია“, თანხა - 9773 ლარი და 50 თეთრი;
48. ა.(ა).ი.პ „ლაპილი“, პროექტი - „ტრადიცია და ტურიზმი - ქვემო სვანეთის ახალი სიცოცხლე“, თანხა - 21875-00 ლარი;
49. ა.(ა).ი.პ „სვანეთის რეგიონალური განვითარების ცენტრი“, პროექტი - „სვანური ტრადიციული რეწვის და სუვენირების სოციალური საწარმო“, თანხა - 23460-00 ლარი;
50. ა.(ა).ი.პ „რაჭის ახალგაზრდული კავშირი“, პროექტი - „რაჭის ახალგაზრდები მასობრივი სპორტის განვითარებისთვის“, თანხა - 16945-00 ლარი;
51. ა.(ა).ი.პ „ჰერეთის სახლი“, პროექტი - „ჰერეთის ელექტრონული ბიბლიოთეკა, ჰერეთის ელექტრონული არქივი, დოკუმენტური ფილმი _ კახის ეკლესიები“, თანხა - 14595-00 ლარი.

ზემოთ ჩამოთვლილი პროექტებიდან დღევანდელი მდგომარეობით დაიხურა 51 (ორმოცდათერთმეტი) პროექტი:

1. ა.(ა).ი.პ „იმედი პლიუსი“, პროექტი - „მეთოდური წიგნის სახელწოდებით "ადაპტური ფიზიკური აღზრდა ოჯახურ პირობებში" გამოცემა“ (დაფინანსდა 6450-00 ოდენობით, პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 0-50 ლარს).

პროექტის მიზანი იყო მეთოდური წიგნის გამოცემა, რომელიც ხელს შეუწყობს შშმ ბავშვების და მოზარდების ოჯახურ პირობებში ფიზიკურ აღზრდას, მათი დარღვეული ფუნქციების კორექციას და რეაბილიტაციას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და პროპაგანდას. პროექტის ფარგლებში მოხდა წიგნის კიდევ ერთხელ დახვეწა, საგამომცემლო დაწესებულების შერჩევა, წიგნის კორექტირება და რედაქტირება, ბეჭდური ნაწარმის გამოტანა და პრეზენტაცია. პროექტის სამიზნე ჯგუფებია ინვალიდობის მქონე ყველა ნოზოლოგიური ჯგუფი (ცერებრალური დამბლა, გონებრივი ჩამორჩენილობა, უსინათლობა, ყრუ-მუნჯობა, ამპუტაციის მქონე პირები, აუტისტური სპექტრის და დაუნის სინდრომის მქონე პირები) და ფართო საზოგადოება, უმაღლესი სასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, ინვალიდთა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.

2. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდების ინტეგრაციის, განათლების და კულტურული განვითარების ასოციაცია“, პროექტი - „იტალიური ეზოს ფესტივალი“ (დაფინანსდა 24788 ლარი და 70 თეთრის ოდენობით, პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 5 ლარს და 10 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო თბილისის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად შეირჩა არქიტექტორულად გამორჩეული თბილისური ეზოები, ასევე შეირჩა ხელოვანები, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ დაგეგმილ ოთხ ღონისძიებაში. პირველი ღონისძიება ჩატარდა წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთ კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ეზოში. მოეწყო მუსიკალურ-ლიტერატურული სადამო დავით ევგენიძისა და გაგა ნახუცრიშვილის მონაწილეობით. მეორე ღონისძიება - ჯაზის სადამო ჩატარდა კოჯრის ქუჩაზე. მესამე ღონისძიება - ინოლა გურგულიას მუსიკის სადამო, დათო ტურაშვილის ლიტერატურის თანხლებით მოეწყო ინგოროყვას ქუჩაზე. მეოთხე დასკვნითი ღონისძიება ნიკოლოზ რაჭველის მონაწილეობით გაიმართა ასათიანის ქუჩაზე, კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ეზოში. ოთხივე სადამოზე დასწრება ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო. პროექტის სამიზნე ჯგუფი იყო ფართო საზოგადოება და ახალგაზრდა თაობა. ღონისძიებებს დაესწრო ჯამში დაახლოებით 2000 ადამიანი. პროექტში მონაწილეობა მიიღო 35-მა არტისტმა.

3. ა.(ა).ი.პ „ჩვენი ჯანსაღი და სპორტული თაობა“, პროექტი - „ბურთი და მოედანი“ (დაფინანსდა 15420-00 ლარის ოდენობით).

პროექტის მიზანი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის პოპულარიზაცია და ხელმისაწვდომობა სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისა და მოზარდებისათვის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენა და მათთვის რეკომენდაციის გაწევა საფეხბურთო კლუბებისთვის. პროექტის ფარგლებში გაიმართა დაინტერესებულ პირებთან და კონტრაქტორებთან მოლაპარაკებები, მოხდა მწვრთნელების დაკომპლექტება, შედგა სატრენინგო განრიგი, განხორციელდა მწვრთნელთა უშუალო გადამზადება, ჩატარდა საფეხბურთო თამაშები. პროექტით გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 8 სოფლის საფეხბურთო გუნდი. განხორციელდა მათ შორის შეჯიბრებების ჩატარება, ასევე გადამზადდნენ მათი მწვრთნელები. პროექტის ბენეფიციარია 240 ბავშვი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სპორტულ შეჯიბრებებში.

4. ა.(ა).ი.პ „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21-ე“, პროექტი - „ქართული ენის შემსწავლელი კურსი ფერეიდნელი ქართველებისათვის“ (დაფინანსდა 21350-00 ლარის ოდენობით, პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 59 ლარს და 80 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო ფერეიდნელი ქართველებისათვის ქართული ენისა და ხალხური სიმღერების შესწავლა, ექსკურსიების მეშვეობით ქართული კულტურის და ისტორიული ძეგლების გაგნობა. პროექტის ფარგლებში მოხდა ფერეიდნელი ქართველებისათვის საცხოვრებელი ფართების მოძიება,

მეპატრონეებთან ხელშეკრულების გაფორმება და ანგარიშსწორება, ასევე სწავლებისთვის განსაზღვრული აუდიტორიის მოძიება. მოხდა ქართული სახელმძღვანელოებისა და საკანცელარიო ნივთების შექმნა. მოეწყო ექსკურსია თბილისის ისტორიულ უბნებში, ასევე მცხეთაში, ანანურში, ჩარგალში, ვარძიაში, სიღნაღში, ბოდბეში, გრემში, თელავში, იყალთოში, ალავერდში, უფლისციხეში, ყაზბეგში, დარიალში. პროექტის დასრულების ეტაპზე გაიმართა დასკვნითი ღონისძიება. პროექტის ბენეფიციარი იყო 12 ფერეიდნელი ქართველი.

5. ა.(ა).ი.პ „გურიის ახალგაზრდული ინიციატივა“, პროექტი - „გურიის ახალგაზრდული დღეები“ (დაფინანსდა 17890-00 ლარის ოდენობით, პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 992 ლარს და 94 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო გურიის მუნიციპალიტეტების (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ოზურგეთი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) ახალგაზრდებისთვის ტრენინგების ჩატარება სამოქალაქო საკითხებში. პროექტის ფარგლებში 70 ახალგაზრდას ჩაუტარდა 16 ტრენინგი. ტრენინგები ჩატარდა შემდეგ თემებზე: აქტუალური საკითხების კვლევა და ადვოკატირება; საქართველოს კანონმდებლობა; პროექტების შექმნა, ფონდების მოძიება და განხორციელება. ტრენინგის მონაწილეებს შორის ჩატარდა იდეების კონკურსი, რომელში გამარჯვებულებს მიეცათ უფლება ჩეტარებინათ მათთვის სასურველი აქტივობები. სულ ჩატარდა 8 აქტივობა: სპორტული შეჯიბრებები (ფეხბურთი, კალათბურთი), ლაშქრობები (რაჭა, მარტვილი, ოკაცე და იმერეთი), გამწვანების აქცია და საზაფხულო ბანაკების ორგანიზება (ბაკურიანი, ურეკი). პროექტის ბენეფიციარია 15 წლიდან 30 წლამდე 100 ახალგაზრდა გურიის რეგიონის მასშტაბით.

6. ა.(ა).ი.პ „კავშირი განვითარებისთვის“, პროექტი - „უკანა ფშავში მცირე მეფუტკრეობის ცენტრის შექმნა“ (დაფინანსდა 17096.50 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 131 ლარს და 27 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო უკანა ფშავის ახალგაზრდებისთვის და სხვა ადგილობრივი მსურველებისთვის სასწავლო ტრენინგების ორგანიზება, რომლებიც მათ მეფუტკრეობის დარგში წარმატებული მუშაობისთვის საჭირო ცოდნას მისცემდა. ასევე მცირე მეფუტკრეობის ცენტრის მოწყობა. პროექტის ფარგლებში შექმნილი იქნა მეფუტკრეობისთვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა. შექმნილი ინვენტარი განთავსდა 2015 წელს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით ჩამოყალიბებულ სამთო მექანიზაციის ცენტრში. შემუშავდა ინვენტარით სარგებლობის წესები. არსებული ინვენტარი ხელმისაწვდომია უკანა ფშავის მოსახლეობიდან ყველან მსურველისთვის. უკანა ფშავის სამ სოფელში (შუაფხოში, თხილიანში, ვაკისსოფელში) ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მეფუტკრეობის დარგის ხელმძღვანელის ვახტანგ ღლონტის მიერ ჩატარდა 4 ტრენინგი შემდეგი შინაარსით: ფუტკრის სამუშაოები გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე, დაავადებები და მათი მკურნალობა, ფუტკრების გაყოფა - დედების გამოყვანა, მტკრის და რძის აღება, წამლები და ანტიბიოტიკები. ტრენინგები მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებს. პროექტის ბენეფიციართა საერთო რიცხვი 10-დან 15-მდე მერყეობდა.

7. ა.(ა).ი.პ „გლობალური თანადგომა“, პროექტი - „სნოს ახალგაზრდული კემპინგი“ (დაფინანსდა 23 000 ლარის ოდენობით).

პროექტის მიზანი იყო ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში კემპინგის ტიპის ტურისტული ცენტრის შექმნა, სადაც დასაქმდებიან ახალგაზრდები ტურიზმის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შეიქმნა პირველი ტურისტული სერვისის სოფელ სნოში. მოეწყო ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა, სადაც დასაქმდება სოფლის ახალგაზრდობა, რომლებიც გაეცნენ მათთვის ახალ ტექნოლოგიებს კემპინგის მოწყობისთვის, მოხდა ახალგაზრდობის გაერთიანება ტურისტული თემის გარშემო; გასწორდა ჭაობიანი ნიადაგი სოფლის შესასვლელში, სადაც ტურისტულად ყველაზე აქტიური ადგილია. მოხდა აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობის რეაბილიტაცია, რომელშიც მოეწყობა კემპინგისთვის სასადილო კაფე. გაკეთდა კემპინგისათვის მისაღები საძინებლებისათვის შენობა. პროექტის ბენეფიციარები კემპინგის მოწყობის პროცესში იყო 12

ახალგაზრდა, ხოლო კემპინგის ამუშავების პროცესში დასაქმდება უფრო მეტი ახალგაზრდა. მათი ასაკია 17 წლიდან 27 წლამდე.

8. ა.(ა).ი.პ „ყაზბეგის ახალგაზრდული ცენტრი“, პროექტი - „მეკლდეურობის განვითარება ყაზბეგის რაიონში“ (დაფინანსდა 10 500 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 299 ლარს და 50 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო ყაზბეგის რაიონში, სოფელ არშაში მეკლდეურობის განვითარება და ადგილობრივი ახალგაზრდების ჩაბმა სპორტის ამ სახეობაში. პროექტის ფარგლებში მოხდა საჭირო აღჭურვილობის შეძენა და კლდეზე ცოცვის 20 მარშრუტის მომზადება; საინფორმაციო ბუკლეტების დაბეჭდვა და მათი გავრცელება; კლდეზე ცოცვის ფესტივალის ჩატარება. პროექტის მიმდინარეობისას დასაქმებული იყო ოთხი ადამიანი. მეკლდეურობის ფესტივალში მონაწილეობა მიიღო სამოცამდე, როგორც პროფესიონალმა, ასევე მოყვარულმა სპორტსმენმა.

9. ა.(ა).ი.პ „აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირი „ჰერა“, პროექტი - „სოციალური საწარმო აუდიო-მულტი სტუდია „ჰერა“ გუმინ, დღეს, ხვალ“ (დაფინანსდა 19 810 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 11 ლარს და 20 თეთრს).

პროექტის ფარგლებში მოხდა უკვე არსებულ სოციალურ საწარმოში, „აუდიო-მულტი სტუდია ჰერა“, ძველი ტექნიკის ახალი თანამედროვე ციფრული საბეჭდი აპარატით ჩანაცვლება, რის შედეგადაც გაიზარდა აუდიო წიგნების მუყაოს ყდების წარმოება, ხარისხი. შეძენილი იქნა თანამედროვე პროფესიონალური ხმის ჩამწერი მოწყობილობა (მიქშერი, კონდენსატორული მიკროფონი), რომელიც საშუალებას იძლევა მომავალში უფრო გაფართოვდეს აუდიო წიგნების ჩაწერა. განხორციელდა ქ. თბილისის 202-ე საჯარო სკოლის (უსინათლოთა სკოლა-პანსეონი) სამივე საფეხურის ბავშვებისათვის სასკოლო და კლასგარეშე მხატვრული ლიტერატურის გახმოვანება. მოხდა აღნიშნული აუდიო წიგნების შეფუთვა თანამედროვე მოთხოვნილებით მუყაოს ლამაზი დიზაინის ყუთებში, რათა რეალიზაცია მოხდეს მთელს მსოფლიოში, სადაც ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ქართველი, აფხაზი და ოსი დიასპორის წარმომადგენლები. ამისათვის მომზადდა ლამაზი დიზაინის მუყაოს ყუთები უახლესი ციფრული პრინტერით, ასევე სათაური უსინათლოთათვის ადაპტირებული იქნა ბრაილის შრიფტით. პროექტით გათვალისწინებულ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით არსებული დაახლოებით 13 000 უსინათლო და მცირემხედველი ბენეფიციარი. პროექტის განხორციელების შედეგად სოციალურ საწარმო „აუდიო-მულტი სტუდია ჰერა-ში“ დასაქმდა ორი აფხაზეთიდან დევნილი შშმ პირი (18-დან 30 წლამდე).

10. ა.(ა).ი.პ „არტ-ისტი“, პროექტი - „ქართული ფოლკლორი კომპიუტერულ თამაშებში“ (დაფინანსდა 24 500 ლარის ოდენობით).

პროექტი გამიზნული იყო სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების მოზარდებზე და ორიენტირებული იყო მომავალში მათ დასაქმებაზე ინოვაციური მიმართულებით მომუშავე კომპანიებში. ბენეფიციარები, რომლებიც მრავალშვილიანი დედეების ორგანიზაცია „გენი ქართულმა“ მოიპოვა, 5 თვის განმავლობაში გაეცნენ ისეთ ინოვაციურ და მოთხოვნად მიმართულებებს, როგორცაა კომპიუტერული გრაფიკა და ვიდეოთამაშების წარმოება. პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნა ინოვაციური პროდუქტი - ქართულ ფოლკლორზე დაფუძნებული ვიდეოთამაშის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობისა და ინოვაციური ტექნოლოგიების სინთეზს. ბენეფიციარებმა თვითონ აარჩიეს ქართული არქეტიპები/პერსონაჟები, შექმნეს მოთხრობა ანუ თამაშის სცენარი/სინოფსისი და ამ მოთხრობის მიხედვით შექმნეს პერსონაჟები. პროექტის ბოლო ეტაპზე თბილისის მერიის ა.(ა).ი.პ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტომ ბენეფიციარებს ჩაუტარა 2 დღიანი ვორკშოპი ფაბლაბ ზიზნეს ინკუბატორში, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები გაეცნენ 3D ბეჭდვის პრინციპებს, ფაბლაბის მუშაობის სპეციფიკას და ფაბლაბის ტექნიკოსებთან ერთად შექმნეს პროექტის 3D მაკეტი, რომელიც წარმოდგენილი იქნა პრეზენტაციაზე. პროექტში მონაწილეობა

მიიღეს სოციალურად დაუცველმა და მრავალშვილიანი ოჯახების მოზარდებმა. შერჩეული იქნა 12 ბენეფიციარი.

11. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდული ასოციაცია დრონი“, პროექტი - „წიგნო-ბარი“ (დაფინანსდა 11 225 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 05 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცის შექმნა, სადაც მათ საშუალება ექნებოდათ განახორციელონ თავიანთი ინოვაციური იდეები და მოაწიონ სხვადასხვა სახის ღონისძიებები. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ინტენსიური ტრენინგები, მოეწყო ახალგაზრდული სივრცე „წიგნო-ბარი“, რომელიც ოფიციალურად გაიხსნა 7 სექტემბერს. სულ მოეწყო 12 ოფიციალური ღონისძიება: ჭადრაკის ტურნირი; ფართი „მარტოხელებისთვის“; დროის მართვა; ერთი დღით 90-იანებში; “let’s take a shower”; პოლონური სადამო და სხვა. ღონისძიებები იყო როგორც საგანმანათლებლო, ისე გასართობი ხასიათის. პროექტის უშუალო სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტები და თბილისის სხვადასხვა დევენილთა დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდები. პროექტში მონაწილეობდა სულ 30 მონაწილე, რომელთაგან 13 იყო მამრობითი და 17 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. მათგან 26 იყო სტუდენტი.

12. ა.(ა).ი.პ „რაჭის ახალგაზრდული კავშირი“, პროექტი - „რაჭის ახალგაზრდები მასობრივი სპორტის განვითარებისთვის“ (დაფინანსდა 16 945 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 156 ლარს).

პროექტის მიზანი იყო მასობრივი სპორტის ხელშეწყობა რაჭის რეგიონში. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტურნირი ფეხბურთში და ტრენინგები თემაზე „ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია“. ამ ღონისძიებებში მაღალი აქტივობით მონაწილეობდნენ ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის ახალგაზრდები. ამბროლაურის რაიონში ჩამოყალიბდა სამოყვარულო საფეხბურთო კლუბი, რომელიც დაკომპლექტდა ტურნირში მონაწილე ახალგაზრდებისგან. გუნდმა წარმატებით იასპარეზა მოყვარულთა საფეხბურთო შეჯიბრში, რომელიც გაიმართა ქ. ამბროლაურში 2016 წლის 4 და 5 ოქტომბერს. ტურნირსა და ტრენინგში მონაწილე ახალგაზრდებს გადაეცათ თასები, სიგელები, მედლები და სერთიფიკატები. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ რაჭის რეგიონის ახალგაზრდები და ადგილობრივი მოსახლეობა. ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 80-ს.

13. ა.(ა).ი.პ „ფანტასტი“, პროექტი - „ვეფხისტყაოსნის დაფის თამაში“ (დაფინანსდა 9 434 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 190 ლარს და 75 თეთრს).

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ვეფხისტყაოსნის სამაგიდო ლიტერატურული თამაში, რომელიც პოემის მხატვრულ-შინაარსობრივ მხარეს დაეფუძნა. ეს არის სახალისო გასართობი და შემეცნებითი ილუსტრირებული თამაში. პროექტის განხორციელებისას შესწავლილ იქნა ვეფხისტყაოსნის გეოგრაფია, მარშუტები, შედგა ლიტერატურული რუკა და ჩატარდა სამუშაოები პოემის ილუსტრაციების მოძიებისა და ისტორიის შესახებ. მომზადდა რამდენიმე სტატია ლიტერატურული სამაგიდო თამაშების კულტურის შესახებ, მისი განვითარებისა და ინტერაქტიული ხელოვნების შესახებ. პროექტის მთავარი აქტივობა წინაა, როდესაც მაღაზიებში დაიწყება თამაშის გაყიდვა. პროექტის სამიზნე ჯგუფია სასკოლო ასაკის მოსწავლეები. ბენეფიციარები არიან 15 ბავშვი გორის ორი სკოლიდან და 15 ბავშვი თბილისის ორი სკოლიდან.

14. ა.(ა).ი.პ „შიდა ქართლის სოციალური მეწარმეობა“, პროექტი „სოციალური საწარმო - ჩემი ფუტკარი“ (დაფინანსდა 22 000 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 14 ლარს და 01 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო შიდა ქართლში გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დივში საველე - პრაქტიკული ცენტრის „ჩემი ფუტკარი“ გახსნა, სადაც მეფუტკრეობით დაინტერესებულ პირებს ამ დარგის საფუძვლიანად შესწავლა შეეძლებათ. შექმნილი საწარმოს მიზანია ფუტკრის კოლონიების გაზრდა და ფუტკრის ნაყოფის მოპოვება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა გარემოს მოწესრიგება, სკების და

ფუტკრის შესყიდვა, მეფუტკრეობისთვის საჭირო ინვენტარის შექმნა. დასაქმდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები. სხვა მეფუტკრეებს და სოფლის მოსახლეობას ჩაუტარდათ ტრენინგები პროფესიონალი ტრენერების მიერ. ბენეფიციარები არიან 17-მდე არაფორმალური განათლების მიმღები სოფლის ახალგაზრდა, აქედან 11 ბიჭი, 6 გოგო (17-28 წლის ასაკის) და სხვა დაინტერესებული პირები.

15. ა.(ა).ი.პ “ჰელფინგ ჰენდ“, პროექტი „სოციალური სახელოსნო ბორჯომში“ (დაფინანსდა 24 294 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 26 ლარს და 56 თეთრს).

პროექტის მიზანს წარმოადგენდა ბორჯომის რაიონში ინტეგრირებული სოციალური მინი-სტამბა სახელოსნოს მოწყობა/ამუშავება, შშმ პირებისა და მოხალისეების ჩართულობით. პროექტის ფარგლებში მოძიებულ იქნა ბორჯომში კოსტავას 1-ში 40 კვ.მ სპეციალური ფართი სახელოსნოსთვის. მოხალისეების ჩართულობით მოხდა ოფისის მოწყობა. მოხდა აღჭურვილობის შექმნა. შექმნილი ტექნიკის შედეგად უკვე შესაძლებელია ბროშურების, რვეულების, სავიზიტო ბარათების, სანიშნეების დამზადება. მოხდა 20 ბორჯომელი მოხალისის მოძიება. მათ ჩაუტარდათ ტრენინგები შემდეგ თემებზე: „მოხალისეობის განვითარება, სტამბა-სახელოსნოში მუშაობის სპეციფიკა. დასაქმდა ასევე 6 შშმ პირი. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ბორჯომში მცხოვრები 20 მოხალისე (16-25 წლის), 6 შშმ პირი.

16. ა.(ა).ი.პ „რეგიონული კინოს ასოციაცია“, პროექტი „სოციალური არტ კაფე ბოლნისში“ (დაფინანსდა 24 675 ლარის ოდენობით. მთლიანი თანხა უკან იქნა დაბრუნებული).

პროექტის მიზნად ისახავდა სოციალური საწარმოს შექმნას ბოლნისში და ითვალისწინებდა რამოდენიმე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდების დასაქმებასა და კვალიფიკაციის ამაღლებს. გარკვეული მიზეზების გამო ორგანიზაციამ ვერ შეძლო პროექტით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება დადგენილ ვადებში, რის გამოც მოხდა მათ მიერ თანხის სრულად დაბრუნება.

17. ა.(ა).ი.პ „საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია“, პროექტი „რეწვის პროდუქციის განვითარება და მარკეტინგი - ახალგაზრდა ოსტატების ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ (დაფინანსდა 23 077 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 920 ლარს და 19 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო ტრადიციული რეწვის სექტორში ახალგაზრდა თაობის ჩართვა და მათი დასაქმება. პროექტის ფარგლებში მოხდა სარეალიზაციო ობიექტის სარემონტო სამუშაოების განხორციელება და მაღაზიის ამოქმედება. 21 კვ/მ ფართობის სარეალიზაციო ობიექტი მდებარეობს გ. ახვლედიანის 23 ნომერში. ტრადიციული რეწვის 14 სახელოსნოს ახალგაზრდებისათვის და მათი ხელმძღვანელი ტრადიციული რეწვის ოსტატებისთვის ჩატარდა პროდუქციის განვითარების ტრენინგები. მთლიანობაში ტრენინგებს დაესწრო 68 ადამიანი. ტრენინგის ჩატარებისთვის 6 ძირითადი ქალაქი შეირჩა: თბილისი, დუშეთი, ონი, ბათუმი და თელავი. აგვისტოს თვეში გაიმართა მაღაზიის გახსნის ოფიციალური ღონისძიება. სექტემბერის თვეში მაღაზია „ეთნოდიზაინმა“ მონაწილეობა მიიღო „ტრადიციული რეწვის და დიზაინის პირველ საერთაშორისო სამიტზე, ეთნოფესტი 2016“, სადაც წარმოდგენილი იყო პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქცია. პროექტის სამიზნე ჯგუფებია ასოციაციის წევრი, დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდა ოსტატები და ახალგაზრდები რეგიონებიდან, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ 14 სახელოსნოდან და მათი ხელმძღვანელი ტრადიციული რეწვის ოსტატები. ტრენინგებს დაესწრო ჯამში 68 ადამიანი. მაღაზიაში დასაქმებულია 2 ადამიანი. მაღაზიაში იყიდება 14 ოსტატის და 54 ახალგაზრდას სხვადასხვა სახელოსნოებში შექმნილი პროდუქცია.

18. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები მთისთვის“, პროექტი „ახალგაზრდული ცენტრი ბეთქილი“ (დაფინანსდა 19 995 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 76 ლარს და 50 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული კლუბ „ბეთქილის“ აღდგენა და ფუნქციონირება. კლუბში განთავსდა კინოთეატრი,

სადაც მოეწყო სხვადასხვა დოკუმენტური, შემეცნებითი, მხატვრული, სათავგადასავლო და ანიმაციური ფილმების ჩვენება. კლუბმა ზაფხულისა და ნაწილობრივ შემოდგომის სეზონის განმავლობაში ყოველდღიურად უმასპინძლა 50 ბენეფიციარს. პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდა თემატური ტრენინგები თემაზე: ეკოლოგია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა_შენარჩუნება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ტურიზმი, სხვადასხვა მოხალისეების მიერ; ჩატარდა დასუფთავების აქციები დაბა მესტიის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაიმართა ელექტრონული მუსიკის ფესტივალები, ჩატარდა სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრები. ივნისის თვეში მოხდა ცენტრის ოფიციალური გახსნა. ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს რაიონის მოსახლეობა. კლუბი ყოველდღიურად მასპინძლობს 30-50 მდე ახალგაზრდას.

19. ა.(ა).ი.პ „ხევსურეთი და თემი“, პროექტი „არაბული Arthouse“ კულტურის ცენტრი/ ტრადიციული ხელსაქმის სახელოსნო/სასწავლო ცენტრი“ (დაფინანსდა 19 331 ლარის ოდენობით).

პროექტის ფარგლებში ხევსურეთში, სოფელ კორშაში გაიხსნა ტრადიციული ხელსაქმის სახელოსნო-სასწავლო ცენტრი, სოციალური საწარმო - „არაბული არტჰაუსი“, სადაც ჩამოსულ სტუმრებს საშუალება აქვთ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, შეიძინონ ადგილობრივი ოსტატების მიერ დამზადებული სამახსოვრო სუვენირები, ტანსაცმელი და ა.შ. სახელოსნოში დასაქმებულია 9 ადამიანი (5 მუდმივი შტატი და 4 გამომუშავებითი) და მომზადდა 2 ოსტატი. საწარმომ მონაწილეობა მიიღო „ეთნო ფესტ 2016“ გამოვენაში, რომელიც მოეწყო ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ ექსპოზორიაში, სადაც წარმოდგენილი იქნა პროექტის ფარგლებში წარმოებული პროდუქცია. პროდუქციის რეალიზებიდან მიღებული თანხით მიმდინარეობს ახალი კოლექციის შექმნა - ძველი ხევსურული ტალავრის ასლების შექმნა, რომლის გამოვენა-გაყიდვა მოხდება 2017 წელს. ცენტრში გაკვეთილებს ესწრება ადგილობრივი 14 ბავშვი, რომლებიც სწავლობენ ხელსაქმეს (ქარგვა, ქსოვა, მინანქარი). უცხოელი და ქართველი სტუმრებისთვის ჩატარდა 6 მასტერკლასი (მინანქარი და ქარგვა), რომელთა რაოდენობა იყო ჯამში 54 ადამიანი. დასაქმებულია 11 ადამიანი.

20. ა.(ა).ი.პ „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“, პროექტი „შშმ პირთა ხელშეწყობა პროფესიული განათლებისა და დასაქმებისთვის“ (დაფინანსდა 37 043 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 129 ლარს და 80 თეთრს).

პროექტის ფარგლებში მოხდა შიდა ქართლში მცხოვრები 16-დან 30 წლამდე 34 ბენეფიციარის მობილიზება და გადამზადება ხელობის სხვადასხვა სფეროში (ჭრა-კერვა, თიხის დამუშავება, ტიხრული მინანქარი, უსინათლოებისთვის ბრაილის შრიფტის სწავლება), მათში პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარება ტრენინგებით, მათი შემდგომი დასაქმება ორგანიზაციაში არსებულ სოციალურ საწარმოში. შეძენილი იქნა ორგანიზაციის შემდგომი გამართული მუშაობისთვის აუცილებელი სხვადასხვა ინვენტარი. ასევე უსინათლო ბენეფიციარებისთვის შეძენილ იქნა 1ცალი კომპიუტერი, რომელიც დაპროგრამდა ხმოვანი შრიფტით და რომელზე მუშაობაც ისწავლა ექვსმა უსინათლო ადამიანმა. შეძენილ იქნა ტიხრული მინანქრის მოქროვებისთვის როდიერების აპარატი და სხვადასხვა მასალები. ტიხრული მინანქარი შეისწავლა 5-მა ბენეფიციარმა, რომელთაგან დასაქმდა 2 ბენეფიციარი, ხოლო 12-მა შშმ პირმა ისწავლა თიხის დამუშავება, მათგან 4 დასაქმდა. ჭრა-კერვაზე დასაქმდა 2 გოგონა, რომელიც ეხმარება მკერავს. პროექტის ბენეფიციარია შიდა ქართლში მცხოვრები 16-დან 30 წლამდე 34 შშმ პირი.

21. ა.(ა).ი.პ „მზიანი“, პროექტი „ახალი მზიური“ (დაფინანსდა 28 240 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 52 ლარს და 70 თეთრს).

პროექტის ფარგლებში მოხდა ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ არსებული ამფითეატრისა და კაფის აღდგენა, მისი ფუნქციურად დატვირთვა და სოციალური კაფის გახსნა, რომელიც მთელი წლის მანძილზე სხვადასხვა შემეცნებით-გასართობ ღონისძიებებს შესთავაზებს ქალაქს. მოხდა კაფისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა. 1 ივნისს მოხდა კაფის ოფიციალური გახსნა. ამფითეატრში მოეწყო თავისუფალი კინო ჩვენებები, ჩატარდა ინკლუზიური სპექტაკლი „ბოშები“. მოეწყო საზაფხულო სკოლა, რომელიც

დაიწყო 6 ავგისტოს და გაგრძელდა 4 შაბათი-კვირა. სკოლაში ჩართული იყო 20 ბავშვი 2 ასაკობრივ ჯგუფში, მათ შორის 2 შშმ ბავშვი. პროექტის განმავლობაში ჩატარდა 60-მდე ღონისძიება, რომელში ჩართვაც პირდაპირ თუ ირიბად, შეძლო დაახლოებით 10 000-მა ადამიანმა. აქედან 50% ახალგაზრდაა. კაფეში დასაქმებულია 11 ადამიანი - 2 სტუდენტი და 1 შშმ პირი.

22. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის“, პროექტი „დასაქმება და არაფორმალური განათლება სამეგრელოს ახალგაზრდებისთვის“ (დაფინანსდა 23 255 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 178 ლარს).

პროექტის მიზანი იყო სამეგრელოს რეგიონის ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. პროექტის პირველ ეტაპზე ჩატარდა ტრენინგები, ხოლო მეორე ეტაპზე მოხდა დატრენინგებული ახალგაზრდების მიერ სხვადასხვა პროექტების განხორციელება, რომელიც არაფორმალური განათლების ხელშეწყობისკენ იყო მიმართული. ტრენინგები ჩატარდა 5 მიმართულებით: ლიდერობა, პრეზენტაციის უნარჩვენვები/გუნდის მართვა; cv და სამოტივაციო წერილის შედგენა; საბანკო საქმე/ფინანსები; საჯარო მმართველობა, დებატების ხელოვნება; პროექტის მენეჯმენტი. ტრენინგები ჩატარეს როგორც ადგილობრივმა, ისე თბილისიდან მოწვეულმა გამოცდილმა ტრენერებმა. მეორე ეტაპზე გამოცხადდა მცირე საგრანტო კონკურსი, თითო პროექტზე ბიუჯეტი შეადგენდა 900 ლარს. შემოსული 11 საპროექტო განაცხადიდან დაფინანსდა 8 პროექტი. პროექტის პირველ ეტაპში მონაწილეობდა 58 ახალგაზრდა. მეორე ეტაპზე მცირე გრანტების პროექტის ბენეფიციარი იყო ჯამში 325 ახალგაზრდა (17-დან 30 წლამდე).

23. ა.(ა).ი.პ „ჰერეთის სახლი“, პროექტი „ჰერეთის ელექტრონული ბიბლიოთეკა, ჰერეთის ელექტრონული არქივი, დოკუმენტური ფილმი - კახის ეკლესიები“ (დაფინანსდა 14 595 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 33 ლარს და 09 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო ჰერეთის (საინგილოს) შესახებ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ელექტრონული ბაზის შექმნა. პროექტის ფარგლებში მოხდა: 1) ჰერეთის ელექტრონულ ბიბლიოთეკის (ჰერეთის (საინგილოს) შესახებ, ფართო საზოგადოების სრული უმეტესობისათვის ხელმისაწვდომელი სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურის, ამავე თემატიკის მხატვრული ლიტერატურის, წყაროს და სხვა ტიპის მასალების ელექტრონული ბაზის შექმნა 2) ჰერეთის ელექტრონულ არქივის შექმნა (მოდერნიზებული დოკუმენტების, ფოტო, ვიდეო, აუდიო, კარტოგრაფიული, ბეჭდური მასალების მოძიება-თავმოყრა და ელექტრონული ბაზაში განთავსება); 3) საპრეზენტაციო დოკუმენტური ფილმის „კახის ეკლესიები“ გადაღება და წინამდებარე პროექტით გამიზნულ ვებსაიტზე განთავსება; 4) დედოფლისწყაროს რაიონის ჰერელებით (ინგილოებით) დასახლებულ სოფელ სამთაწყაროს სკოლაში მოპოვებული მასალების პრეზენტაციის გამართვა და პროექტის შემსრულებელი სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ სკოლის მოსწავლეებისათვის ჰერეთის (საინგილოს) შესახებ საინტერესო ლიტერატურის გაცნობა; პროექტის ბენეფიციარებია: პროექტის დამხმარე პერსონალი - ჰერელი სტუდენტების ჯგუფი (7 სტუდენტი).

24. ა.(ა).ი.პ „წყალტუბოს განვითარების ფონდი“, პროექტი „ვირტუალური ტური იმერეთში“ (დაფინანსდა 25 000 ლარის ოდენობით).

პროექტის ფარგლებში განხორციელდა წყალტუბოს ვირტუალური ტურისთვის 360 გრადუსიანი პრომო ვიდეოს დამზადება ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით. დამზადდა ვირტუალური რეალობის 5 სათვალე, რომლებშიც განთავსდა აღნიშნული პრომო ვიდეო, შეირჩა წყალტუბოს წარჩინებული მოსწავლეები, რომლებმაც ვირტუალური რეალობის სათვალეების საშუალებით ცაგერის და ლენტეხის საჯარო სკოლების მოსწავლეებს გააცნეს წყალტუბოს ტურისტული ლოკაციები. დამზადდა სპეციალური სტენდი ვირტუალური რეალობის სათვალეებისთვის, რომელიც განთავსდება ტურისტებისთვის ხელმისაწვდომ ლოკაციაზე, რომ მათ შეძლონ წყალტუბოს ორიგინალური მეთოდით გაცნობა. პროექტის მიმდინარეობისას სხვადასხვა ეტაპზე ჩართული იყო ქ. წყალტუბოს 4 სკოლის 200-

მდე მოსწავლე, ასევე 2 ბაგა-ბაღის 50-მდე მოსწავლე. ისინი უშუალოდ მონაწილეობდნენ გადაღების პროცესში.

25. ა.(ა).ი.პ „ობსკურა“, პროექტი „სინთეზი“, (დაფინანსდა 24 510 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 144 ლარს და 29 თეთრს).

პროექტის ფარგლებში პროექტის კურატორებმა საქართველოს მასშტაბით ჩაატარეს კვლევა და მოიძიეს ახალგაზრდა, საინტერესო არტისტები; შეიქმნა „ობსკურას“ ვებგვერდი და ლოგო; ჩატარდა ოთხი ღონისძიება: „სინთეზი/თელავი“, სინთეზი/რუსთავი“, „განხორციელებელი პროექტები“ და „სინთეზი/თბილისი“; თბილისში, „ფაბრიკაში“ ბოლო გამოფენასთან ერთად მოეწყო ვებგვერდის პრეზენტაცია. პროექტის კვლევის პროცესში ჩართული იყო 100-ზე მეტი ხელოვანი, რომელთაგან 50-მდე მოხვდა ვებგვერდზე. კვლევის პროცესებზე მუშაობდა პროექტის 2 კურატორი, მათი 2 ასისტენტი, ფოტოგრაფი. დაგეგმილი ღონისძიებებისთვის ნამუშევრების შექმნისას პროექტში ჩართულ 50-მდე ხელოვანს სხვადასხვა ტიპის დახმარება გაუწიეს შესაბამისმა სპეციალისტებმა. ასევე პროექტის ბენეფიციარებს წარმოადგენს ის საზოგადოება, რომელიც ესწრებოდა თელავში (300); რუსთავში (200); თბილისში გამართულ ორივე გამოფენას (1500). სულ პროექტის უშუალო ბენეფიციარია 2500 ადამიანი.

26. ა.(ა).ი.პ „ორგანიზაცია „ჯი თი ეს“, პროექტი „სოციალური მეწარმეობის ფოტოისტორია საქართველოში“ (დაფინანსდა 15 276 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 136 ლარს და 70 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო სოციალური მეწარმეობის ფოტო-ისტორიის შექმნა. პროექტის ფარგლებში მოხდა გადასაღები სოციალური საწარმეობის შერჩევა; გადაღების გრაფიკის შედგენა; განხორციელდა გადაღებები, ფოტოების დამუშავება და საგამოფენოდ მომზადება; მოხდა ბროშურის ტექსტების შედგენა, თარგმნა და საგამომცემლოდ მომზადება; მოეწყო ვიდეო-პროექცია; მოეწყო გამოფენა. პროექტის მთავარი სამიზნე ჯგუფი იყო ის სოციალური საწარმეობი, რომლებიც ფონდისა თუ სხვა ორგანიზაციების მიერ არიან დაფინანსებული დედაქალაქსა და რეგიონებში.

27. ა.(ა).ი.პ „საქართველოში მცხოვრებ ქისტ ქალთა საქველმოქმედო ფონდი მარშუა კავკაზ“, პროექტი „ნექტარი“ (დაფინანსდა 21 300 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 800 ლარს).

პროექტის მიზანი იყო პანკისის ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების მიცემა და მათი დასაქმება. პროექტის ფარგლებში მოხდა მეფუტკრეობის კურსების ორგანიზება პანკისის ხეობაში, რომელიც წაიკითხა მეფუტკრეობის დარგში წარმატებულმა პროფესორმა ვენერა სტეფანიშვილმა. კურსების დასრულების შემდეგ შეირჩა 4 ახალგაზრდა, 3 ბიჭი და 1 გოგო და დასაქმდა ფუტკრის მომვლელის პოზიციაზე. შესყიდულ იქნა 20 ფუტკრის სკა, მისაბმელი და სხვა საჭირო წვრილმანი ინვენტარი. პროექტის ბენეფიციარები იყვნენ 14 ახალგაზრდა, რომელთაგან 4 დასაქმდა პროექტის ფარგლებში.

28. ა.(ა).ი.პ „ეთიკვინანსი“, პროექტი „სოციალური საწარმო „სობისური“-ს საწარმოო შესაძლებლობების ზრდა და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა. (დაფინანსდა 23 170 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 1355 ლარს და 50 თეთრს).

პროექტის ფარგლებში მოხდა გორის რაიონში უკვე არსებული სოციალური საწარმოს - „სობისური“ განვითარებისთვის ხელის შეწყობა. აშენდა ახალი სასაწყობე შენობა. შეძენილ იქნა ახალი წვენი სახარში ქვაბი. პროდუქციის ხარისხის და საწარმოში სანიტარული ნორმების შენარჩუნებისთვის, საწარმოში ჩატარდა ტრენინგი ჩირის წარმოების ტექნოლოგიების დახვეწაში, რომელსაც დაესწრო საწარმოს 15 თანამშრომელი. ასევე ჩატარდა ტრენინგი საწარმოში სანიტარული ნორმების გაუმჯობესებისთვის, რომელშიც ჩაერთო საწარმოს ოცდაერთივე თანამშრომელი. საწარმოში წარმოებულ პროდუქციას დაემატა: ყურძნის წვენი, ჯონჯოლისა და პომიდორის მარინადები, შავი ქლიავის ჩირი, პომიდორის წვენი სადილისათვის, ასევე კომშის და ვაშლის ნაზავი წვენი. პროექტის

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს გორის რაიონის საზღვრისპირა სოფლების, ზედღულეთის და სობისის ახალგაზრდები. „სობისურის“ გუნდს პროექტის ფარგლებში შეემატა ახალი ბენეფიციარები: 14-18 წლამდე 3 ბიჭი და 14-20 წლამდე 10 გოგონა.

29. ა.(ა).ი.პ „რეგიონალური განვითარების ახალგაზრდული ფონდი“, პროექტი „ღია სივრცე - open space“ (დაფინანსდა 24 300 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 679 ლარს და 80 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო წყალტუბოში ახალგაზრდებისთვის ალტერნატიული სივრცის მოწყობა არაფორმალური განათლების განვითარების ხელშესაწყობად. პროექტის ფარგლებში გარემონტდა და მოეწყო 60 კვ.მ ფართი, ჩატარდა სამი საინფორმაციო შეხვედრა სამ სხვადასხვა ადგილობრივ სკოლაში და შეხვედრას დაესწრო ჯამში 150 ახალგაზრდა. სოციალურ კაფეში მოეწყო სამი შშმ ახალგაზრდის ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. ასევე ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი, რომელიც ჩაატარა წყალტუბოს კულტურისა და ტურიზმის განვითარების აიპ-იმ თემაზე „წყალტუბოს ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები“. ტრენინგს ესწრებოდა 11-12-ე კლასის 20 ახალგაზრდა. პროექტის ფარგლებში დასაქმებულია 4 ადამიანი.

30. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები მომავლისა და ცვლილებებისთვის“, პროექტი „სოციალური საწარმო „თუშეთი““ (დაფინანსდა 22 597 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 576 ლარს და 31 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო კახეთში, ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში მცხოვრები სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 10 ახალგაზრდა ქალის ეკონომიკური და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, დასაქმება და სამუშაო უნარების განვითარება. პროექტის ფარგლებში სოციალური საწარმო მომარაგდა საწარმოო საშუალებებით და ნედლი მასალით. სახელოსნოში 10 ახალგაზრდა ქალმა შეისწავლა ტრადიციული ხელსაქმე, კერძოდ თუშური ცხვრის ჯიშის მატყლის დამუშავება და შემდგომ ამ მატყლის საშუალებით სხვადასხვა ნაწარმის დამზადება (ესენია თექის სუვენირები, პანოები, თექის თოჯინები, ფარდაგი, ნაბადი, წინდა, ქუდი, ხურჯინები და სხვა). პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა საწარმოო საშუალებები, მოეწყო სამუშაო სივრცე და აღიჭურვა სახელოსნო. შეძენილი პროდუქციის გასაღება-გაყიდვის მიზნით სამ გამოფენაზე მოხდა ნაწარმის წარდგენა: თუშეთში-თუშეთობა; თბილისში-თბილისობა და სიღნაღში-ღვინის ფესტივალი; თელავში-ღვინის ფესტივალი“. შემუშავებული იქნა საწარმოს გაყიდვების გრძელვადიანი გეგმა. პროექტის ბენეფიციარები არიან 10 სოციალურად დაუცველი ახალგაზრდა ქალი და ერთი შშმ პირი.

31. ა.(ა).ი.პ „ხვამლი 2015“, პროექტი „თანადგომა მდგრადი განვითარებისთვის“ (დაფინანსდა 16 100 ლარის და 08 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 820 ლარს და 08 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო ცაგერის რაიონის, სოფელ ტვიშის თემის ეკონომიკური განვითარებისა და ახალგაზრდების ადგილზე დასაქმების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა ტრაქტორი, აშენდა სათბური, რის შემდეგაც უნდა მოხდეს სასათბურე მეურნეობის განვითარება, დამუშავდება მიწა და წლის ნებისმიერ დროს იქნება საშუალება, რომ სასათბურე ნაგებობაში მოყვანილ იქნას ბოსტნეული და სხვა კულტურები. დასაქმდა 10 ბენეფიციარი, რომელთა ასაკია 17-30 წელი.

32. ა.(ა).ი.პ „მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრი“, პროექტი „პრე-აქსელერატორი 9.8“ (დაფინანსდა 22 312 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 31 ლარს და 40 თეთრს).

პროექტის ფარგლებში მოხდა თბილისში უკვე არსებული სოციალური საწარმო „გენერატორი 9.8-ს“ ნაწილობრივი გარდაქმნა პრე-აქსელერატორად, რომლის საბოლოო მიზანიც ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა და მათი სოციალურ საწარმოებად, არასამთავრობო ორგანიზაციებად ჩამოყალიბების პროცესში დახმარების გაწევაა. პროექტის მიზანია ახალგაზრდების თვითდასაქმების და ინიციატივების სტიმულაცია, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის გზით; სტარტაპების და ინოვაციური

იდევბის განვითარების მხარდაჭერა; ექსპერტებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ჯგუფის ჩამოყალიბება დამწყები NGO-ების, სოციალური მეწარმეების და სტარტ-აპების მხარდაჭერის მიზნით. პროექტის ბენეფიციარები არიან ახალგაზრდები, რომელთაც გააჩნიათ კონკრეტული იდეები, რომ ჩამოაყალიბონ სოციალური საწარმო. ბენეფიციართა რაოდენობა 6 გუნდია, რომელიც საშუალოდ 2-5 ადამიანით არის დაკომპლექტებული (სულ 23). მათი ასაკია 19-34 წელი.

33. ა.(ა).ი.პ „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია. მშობელთა კავშირი“, პროექტი „ხის საწარმო შშმ პირთა სოციალური ინკლუზიისთვის“ (დაფინანსდა 20 969 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 386 ლარს და 51 თეთრს).

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ხის დამამუშავებელი სოციალური საწარმო, რომელიც მდებარეობს თბილისში, მოსკოვის გამზირზე. მისი დაქირავება უზრუნველყო თბილისის მერიამ. მოხდა დანადგარების შექმნა-მონტაჟი, ბენეფიციართა შერჩევა, შშმ პირებთან ტრენინგი - ისეთი ცოდნისა და კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული არაფორმალური განათლებით, რომელიც მათ დასაქმებაში დაეხმარებათ. საბოლოოდ მოხდა გადამზადებული ბენეფიციარების დასაქმება ხის სოციალურ საწარმოში. პროექტის ბენეფიციარია 20 შშმ პირი ინტელექტუალური შეზღუდვითა და ფსიქო-ემოციური დარღვევებით. ბენეფიციარები შეირჩნენ სხვადასხვა ცენტრებიდან, ასევე ორგანიზაციიდან „ოტავა-98“, რომელიც ახორციელებს შშმ პირთა განათლებისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების ადვოკატირებასა და ლობირებას, რაიონის სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

34. ა.(ა).ი.პ „სამოქალაქო ინიციატივა - “Civic Initiative”, პროექტი „ცოდნის კაფე“ (დაფინანსდა 21 154 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 1095 ლარს და 50 თეთრს).

პროექტის ფარგლებში მოხდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქ. წნორში „ცოდნის კაფეს“ შექმნა, რაც აერთიანებს წიგნის მაღაზიას, მულტიმედია ბიბლიოთეკას, არაფორმალური განათლების ცენტრსა და კაფეს. განხორციელდა „ცოდნის კაფესთვის“ ფართის რემონტი და შეიქმნა ინტერიერი. მოხდა წიგნის მაღაზიის ორგანიზება/მოწყობა; განხორციელდა კაფეს ბაზაზე იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ თანამშრომლობით ორ თვიანი ტრენინგ მოდულის ორგანიზება სიღნაღის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის. შეიქმნა მულტიმედია ბიბლიოთეკა - 500-მდე თანამედროვე წიგნით, 2 კომპიუტერით და შესაბამისი ინტერიერით. მოხდა კინოკლუბის ორგანიზება: ყოველ პარასკევს კინოფესტივალ „სინედოკის“ ფარგლებში თანამედროვე დოკუმენტური ფილმების ჩვენება და დისკუსია. ყოველთვიურად განხორციელდა თანამედროვე მწერლებთან შეხვედრები. პროექტის ბენეფიციარია 1000-მდე ადგილობრივი ახალგაზრდა.

35. ა.(ა).ი.პ „ასოციაცია ქალი, ბავშვი და სოციუმი“, პროექტი „ველოტანდემი უსინათლო და მცირემხედველი შშმ პირებისთვის“ (დაფინანსდა 24 285 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 62 ლარს და 28 თეთრს).

პროექტის ფარგლებში განხორციელდა უსინათლო და მცირემხედველი შშმ პირებისთვის სპორტის ახალი სახეობის დანერგვა, ველოტანდემის, როგორც პარაოლიმპიური სახეობის პოპულარიზაცია. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, საინფორმაციო შეხვედრები უსინათლო და მცირემხედველ ადამიანებთან; ველოტანდემების მოძიება, შერჩევა და შექმნა; ველოტანდემის სტანდარტებისა და წესების თარგმნა; ინსტრუქტორების შერჩევა და მომზადება ველოტანდემის სპეციფიკის გათვალისწინებით; უსინათლოთა კავშირის რაიონულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; ინსტრუქტორების მიერ შერჩეული მონაწილეების მომზადება/ვარჯიში; სოციალური კლიპის მომზადება; საინფორმაციო ტრიპლეტის დიზაინის შექმნა და ბეჭდვა; რეკომენდაციების მომზადება პარაოლიმპიური კომიტეტისათვის; საჩვენებელი ველოგარბენი და პროექტის დახურვა. პროექტის ბენეფიციარია 35 უსინათლო და 100 მცირემხედველი პირი.

36. ა.(ა).ი.პ „ლაპილი“, პროექტი „ტრადიცია და ტურიზმი - ქვემო სვანეთის ახალი სიცოცხლე“ (დაფინანსდა 21 875 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 2 685 ლარს და 50 თეთრს).
- პროექტის მიზანი იყო ქვემო სვანეთში ტურისტული სერვისების შექმნა, რეგიონის ტურისტული ცნობადობის ამაღლება. პროექტის ფარგლებში მოხდა 10 ახალგაზრდას გადამზადება სამთო გამყოლ გიდად, ახალგაზრდები შეირჩნენ ქვემო სვანეთის სხვადასხვა სოფლებიდან. 2 დღის განმავლობაში მათ ლენტეხში ჩაუტარდათ თეორიული სწავლება სამთო გამყოლის პროფესიასთან დაკავშირებით. სწავლების შემდეგ მოეწყო 5 დღიანი გასვლითი ტური, სადაც ახალგაზრდებს ჩაუტარდათ პრაქტიკული სწავლებები, მთაში უსაფრთხოდ მოძრაობის და ექსტრემალურ სიტუაციებში მოქმედების კუთხით. შემუშავებული იქნა 2 გრძელი, 3 საშუალო და 3 მოკლე მარშრუტი, რომლებიც მოიცავენ მთელ ქვემო სვანეთს. აღნიშნულ მარშრუტებზე მოეწყო ფოტო ტური, სადაც მონაწილეობდა 2 პროფესიონალი და რამდენიმე მოყვარული ფოტოგრაფი. ფოტოები გამოიფინა სვანურ ფოლკლორულ ფესტივალზე. ასევე მოხდა ტურისტული საინფორმაციო მიმართულების მაჩვენებლების დამონტაჟება. მოეწყო პირველი სვანური ფოლკლორული ფესტივალი - სვანფესტი, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და სადაც წარმოდგენილი იყო სვანური რეწვის ნიმუშები. გაიმართა შეჯიბრებები დოღში, სვანურ ჭიდაობასა და ძველ სვანურ თამაშობა „ფაყვა ლიკედ“-ში. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ფოლკლორული კონცერტი. პროექტის უშუალო ბენეფიციარია 20 ახალგაზრდა: 10 გადამზადდა სამთო გამყოლ გიდად, ხოლო 10 დატრენინგდა ტურიზმის მენეჯმენტსა და ტურისტული სერვისების განვითარებაში. მათგან 4 კაცია და 6 ქალი.
37. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები ცვლილებებისთვის“, პროექტი „ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა გურიაში სანერგე მეურნეობის განვითარების გზით“ (დაფინანსდა 20 125 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 461 ლარს და 03 თეთრს).
- პროექტის მიზანი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სანერგე და სასათბურე მეურნეობის მოწყობის გზით ახალგაზრდების დასაქმება. მოეწყო 200 კვ/მ ფართობის სათბური, რომელშიც დაირგო 1500 ძირი მარწყვი. სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე დაირგო 500 სხვადასხვა ხილის (ვაშლი, მსხალი, ტყემალი) ნერგიც. ჩატარდა 10 ტრენინგი სასოფლო სამეურნეო საკითხებზე, რომელსაც დაესწრო 48 ახალგაზრდა. ჩატარდა ორი პრეზენტაცია პროექტთან დაკავშირებით, რომლებსაც დაესწრო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ადგილობრივი ახალგაზრდები. პროექტის ბენეფიციარია 54 ახალგაზრდა გურიის რეგიონის მასშტაბით. მათი ასაკია 17-დან 30 წლამდე.
38. ა.(ა).ი.პ „რაჭის განვითარების ცენტრი“, პროექტი „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, ჯანმრთელობის გარანტია“ (დაფინანსდა 9 773 ლარის და 50 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 30 ლარს და 50 თეთრს).
- პროექტის მიზანი იყო რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სადმელში განთავსებული სანერგე მეურნეობის გამართვა და სათბურის გაკეთება. განხორციელდა სანერგე მეურნეობის მიწის კულტივაცია, მოხდა მიწის ნაკვეთის ორგანული სასუქით გამდიდრება, შესყიდული იქნა პამიდვრის 1000 ძირი ნერგი და კიტრის 50 ლარის თესლი, რომელიც დაირგო მომზადებულ ნიადაგში. ასევე შეძენილ იქნა შხამქიმიკატები შაბიამანი და კირი. შეირჩა ოთხი ახალგაზრდა, რომლებმაც გაიარეს მომზადება სოფლის მეურნეობის რეგიონალური საკონსულტაციო ცენტრის ენტიმოლოგთან და სწავლების გავლის შემდეგ დასაქმდნენ სანერგე მეურნეობაში. მომზადდა სანერგე მეურნეობის სარეკლამო ფლაერების დიზაინი, დაიბეჭდა და დარიგდა მოსახლეობაში სავაჭრო ობიექტებში. მოეწყო სასათბურე მეურნეობა 50 კვ. მეტრზე. პროექტის ფარგლებში დასაქმდა 5 ახალგაზრდა. ასევე პროექტის ბენეფიციარია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი შეჭირვებული 60 ოჯახი, რომელთაც უსასყიდლოდ გადაეცათ პამიდორი.
39. ა.(ა).ი.პ „წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი“, პროექტი „ტრადიციული რეწვის სწავლება წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის რეაბილიტაციის ცენტრის შშმ

აღსაზრდელებისა და სოფ. ბებნისის ახალგაზრდების გაძლიერებისათვის“ (დაფინანსდა 12 325 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 43 ლარს და 73 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო ტრადიციული რეწვის სახელოსნოს აღჭურვა. შეძენილ იქნა ტიხრული მინანქრის დასამზადებელი ხელსაწყოები და მასალები, ასევე ხის გასასალაშინებელი დაზვა და ხეზე კვეთის ხელსაწყოები. დამზადდა გობელენის საქსოვი. შეძენილ იქნა სამუშაო მაგიდა თექის დასამზადებლად, შეძენილი იქნა საკანცელარიო მასალები. 4 თვის განმავლობაში 20 შშმ და ამასთანავე 25 ადგილობრივი ახალგაზრდა დაეუფლა მინანქრის, გობელენის, თექის და ხის დამუშავების ტრადიციული რეწვის ტექნოლოგიას. 2016 წლის 20-21 ოქტომბერს, შემსწავლელი კურსის ბოლოს, რეაბილიტაციის ცენტრში გაიმართა პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, რომელზეც წარმოდგენილი იყო საყოფაცხოვრებო და დეკორატიული ნივთები, სათამაშოები, აქსესუარები, სამკაულები, თექის და გობელენის ფარდაგები და სხვადასხვა სახის ნაკეთობები; საწარმოს ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები გაიყიდება სარეაბილიტაციო ცენტრის მცირე მაღაზიაში, სამების საკათედრიო ტაძარში, საეკლესიო მაღაზია „წმინდა კუთხე“-ში, ყინწვისის მამათა მონასტერში. პროექტის ფარგლებში გადამზადდა ცენტრის 20 შშმ და 25 სოფელ ბებნისში მცხოვრები ახალგაზრდა.

40. ა.(ა).ი.პ „გრინ ლაიფი“, პროექტი „კავკასიური სოჭის სანერგე“ (დაფინანსდა 25 000 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 180 ლარს).

პროექტის მიზანი იყო სოციალური საწარმოს შექმნა, კავკასიური სოჭის ნერგების სასათბურე მეურნეობის განვითარებისთვის. პროექტის ფარგლებში შემუშავებული იქნა მარკეტინგული სტრატეგია და შემუშავდა სოციალური საწარმოს განვითარების 5 წლიანი სამოქმედო გეგმა. გაიმართა შეხვედრა დანიელ პარტნიორებთან, რომელთაც აქვთ 20 წლიანი გამოცდილება აღნიშნულ საქმეში. შეირჩა ერთი ბენეფიციარი, რომელიც დასაქმდა შტატგარეშე მუშაკის პოზიციაზე, რომელსაც ჩაუტარდა პროფესიული გადამზადების მოკლე კურსი მეტყვეობაში, ეკოლოგიისა და მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ბაზაზე. აშენდა 250 კვ.მ სასათბურე მეურნეობის მშენებლობა და შეძენილ იქნა დამატებითი აღჭურვილობა (გამაგრებელი სისტემა და სარწყავი სისტემა). შეძენილ იქნა მაღალი ხარისხის გერმანული ტორფი, ასევე მაღალი ხარისხის თესლი, საჩითილე კასეტები. განხორციელდა ნიადაგის მომზადება, თესვა, სასუქებით მორწყვა, სარწყავი სისტემის გამართვა. მარკეტინგული აქტივობების ფარგლებში შეიქმნა სანერგე მეურნეობის ლოგო და განხორციელდა სხვადასხვა კომპანიებთან პრეზენტაციები. პროექტის ფარგლებში შეირჩა და დასაქმდა ერთი ბენეფიციარი, რომელიც არის ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდა. ასევე საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობისა და ეკოლოგიის კოლეჯის სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ პრაქტიკები სოციალურ საწარმოში.

41. ა.(ა).ი.პ „ალტერნატიული განათლების აკადემია“, პროექტი „Youth Room“ (დაფინანსდა 27 350 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 342 ლარს).

პროექტის მიზანი იყო ქ. რუსთავში ახალგაზრდული სივრცის შექმნა, ადგილობრივი შშმ ახალგაზრდების დასაქმება და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში. პროექტის ფარგლებში მოძიებული იქნა შესაბამისი სივრცე, რომელიც მდებარეობს ქ. რუსთავში, დუმბაძის ქუჩის 10 ნომერში. სივრცე გაყოფილია ოთხ ნაწილად და მოიცავს კინოთეატრს, ბარს, მისაღებს და სამზარეულოს. გარემონტდა შიდა სივრცე. მოეწყო ბარი და მოხდა მისი აღჭურვა. აღიჭურვა პრივატული კინოთეატრის სივრცეები 2 ტელევიზორით, 2 პროექტორით, 2 ეკრანითა და ჯამში 1 გბტ სიმძლავრის მუსიკალური სისტემით. მოხდა სამზარეულოს მოწყობაც. მოხდა გარე სივრცეების გაწმენდა, აშენდა მესერი. გარე პერიმეტრზე დაიდგა სარეკლამო ბანერები; შეიქმნა ფეისბუქ გვერდი. საწარმოში დასაქმდა 8 თანამშრომელი: დირექტორი, ფინანსური მენეჯერი, 2 ტექნიკური მენეჯერი, 2 ოფის მენეჯერი, ბარმენი და დამლაგებელი. 1 დასაქმებული გამოსულია სახელმწიფო ზრუნვიდან, 1 მათგანი კი არის შშმ პირი.

პროექტის ბენეფიციარებს ასევე წარმოადგენენ ის ახალგაზრდები, რომლებიც ყოველდღიურად სარგებლობენ Youth Room - ის სერვისებით: უფასო სამუშაო სივრცე, რაც გულისხმობს ინტერნეტის და პრინტერის უფასო გამოყენებას.

42. ა.(ა).ი.პ „რადარამი“, პროექტი „რადარამი“ - წაიკითხე და შემოგვიერთდი“ (დაფინანსდა 21 200 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 227 ლარს და 65 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის თანამედროვე, გარემოს დაცვის საკითხებზე შექმნილი, არამხატვრული ლიტერატურის მიწოდება და ამით მათი ინტერესის გაზრდა სოციალურ-პოლიტიკური პროცესებისადმი გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. პროექტის ბენეფიციარები არიან რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებიც მაღალ დონეზე არ ფლობენ უცხო ენებს. პროექტის ფარგლებში მოხდა გარემოს დაცვის თემაზე - ორი თანამედროვე ბესტსელერის ქართულად თარგმნა, გამოცემა და დისტრიბუცია. "რადარამი" თანამშრომლობს პროფესიონალ თარგმნებთან და ამის უკვე 5 წლიანი გამოცდილება გააჩნია. წიგნის თარგმანის დროულად და გამართულად შესრულებას ხელმძღვანელობდა თარგმნის კოორდინატორი. მოხდა წიგნების დისტრიბუცია მთელი საქართველოს მასშტაბით, ბიბლუსის წიგნის მაღაზიათა ქსელის დახმარებით.

43. ა.(ა).ი.პ "გავამლიეროთ სოფლად ახალგაზრდები", პროექტი „TRAVEL SVANETI“ (დაფინანსდა 12 519 ლარის და 50 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 119 ლარს).

პროექტის მიზანი იყო მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარისა და მის ტერიტორიულ ერთეულში შემავალი სოფლების ტურისტულ მარშრუტებში ჩართვა, ტურიზმის განვითარება მოსახლეობის დასაქმების მიზნით. საინფორმაციო ტურისტული ცენტრის მოწყობა, რომელიც იმუშავებს სოფლის ტურისტული პოტენციალის რეკლამირებასა და ვიზიტორების მოზიდვაზე. შეიქმნა ტურისტული ცენტრი "svantravel". დაიდგა საინფორმაციო ბანერები, დაიბეჭდა ბუკლეტები, შეიქმნა ვებგვერდი, რამაც განაპირობა სოფლის მიმართ ინტერესი. სოფელში დაიწყო ტურისტების შემოსვლა. პროექტის ერთ-ერთი მიზანი ადგილობრივი პროდუქტის რეალიზების ხელშეწყობა იყო. ტურისტები ადგილობრივი მოსახლეობისგან ყიდულობდნენ ყველს, მარილს, თაფლს, რაც დამატებით შემოსავალს აძლევდა ოჯახებს. მოსახლეობამ დაიწყო საოჯახო ტიპის სასტუმროების შექმნა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი - „როგორ განვავითაროთ კერძო ბიზნესი“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 35 ახალგაზრდა. ტურისტულ ცენტრში დასაქმდა 5 ადამიანი, გამყოლ გიდებად დასაქმდა 15 ახალგაზრდა. პროექტის ბენეფიციარებია საოჯახო სასტუმროების მეპატრონე ოჯახები, დაახლოებით 25 ადამიანი.

44. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდა მკვლევართა ცენტრი უცნობი საქართველო“, პროექტი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები“ (დაფინანსდა 24 800 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 311 ლარს და 79 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონთან დაკავშირებული არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული, ლინგვისტური, ისტორიული სამეცნიერო საკითხების კვლევა, საკითხების კომპლექსური ანალიზი და თავმოყრა. პროექტის ფარგლებში მოხდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა. ამის შემდეგ პერიოდულად მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები ოკუპირებულ საზღვრისპირა სოფლებში და მაღალმთიან რეგიონში. პარალელურად მოხდა მოპოვებული მასალის აკადემიურად შესწავლა და მისი მეცნიერულად დამუშავება. გამოვლინდა არაერთი უცნობი ეპიგრაფიკული ძეგლი თუ ხელნაწერი მემკვიდრეობა. აღნიშნული მასალა წარმოდგენილი იქნება სამთო-სათხილამურო კურორტ გუდაურში დაგეგმილ მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები. ექსპედიციების პარალელურად სპეციალური დანადგარით „დრონით“ მომზადდა ვიდეორგოლები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების

შესახებ. მომზადდა ვებგვერდი www.myhistory.ge პროექტის ბენეფიციარები არიან ახალგაზრდა მეცნიერები, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები.

45. ა.(ა).ი.პ „ფუდბანკ საქართველო“, პროექტი - „ორნამენტი“ (დაფინანსდა 23 480 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 958 ლარს).

პროექტის მიზანი იყო სოციალური საწარმოს შექმნა და ქართული უნიკალური ორნამენტების ყოველდღიურ ცხოვრებაში გაცოცხლება. სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა 5 ადამიანისგან ჩაატარა შემდეგი სამუშაოები: მოძიებული იქნა მასალები, როგორც ინტერნეტიდან, ასევე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან ძველი ქართული ტრადიციული ორნამენტების შესახებ. დეტალურად დაისახა ყველა კონკრეტული პროდუქციის დიზაინი, რისი წარმოებაც შემდეგში განხორციელდა. ორმა ბენეფიციარმა 6 დღის განმავლობაში შეისწავლა ქარგვის ტექნიკის სპეციალური პროგრამა. მოხდა ინვენტარის შექმნა და საწარმოს კეთილმოწყობა. საწარმომ დაიწყო პროდუქციის წარმოება: შეიკერა და მოიქარგა დეკორატიული ბალიშები. დამზადდა სამკლავურები ქართული ორნამენტებით და სუფრა-გადასაფარებლები თავისი ხელსახოცებით. დასაქმდა 2 ბენეფიციარი, რომლებიც სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან არიან გამოსულები. მათი ასაკია 19 და 20 წელი.

46. ა.(ა).ი.პ „პანკისის ახალგაზრდული ცენტრი“, პროექტი - „სოციალური კაფე და სასწავლო კურსები პანკისის ხეობაში“ (დაფინანსდა 29 582 ლარის და 50 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 1031 ლარს და 80 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო პანკისის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია, პანკისელი ახალგაზრდების ინტეგრაციის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში პანკისელმა ახალგაზრდებმა, მათ შორის შშმ პირებმა მიიღეს არაფორმალური განათლება კულინარიისა და ჭრა-კერვის მიმართულებით. დასაქმდა 3 ახალგაზრდა, მათ შორის 1 შშმპ. გადამზადდა ასევე 3 უკვე დასაქმებული ახალგაზრდა ჭრა-კერვის მიმართულებით. ხეობაში გაიხსნა პირველი სოციალური კაფე, რომელიც მდებარეობს სოფელ დუისის ცენტრალურ გზაზე, სკოლისა და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე. 26-მა ახალგაზრდამ გაიარა არაფორმალური განათლების კურსები. კულინარიის კურსები გაიარა 12-მა პანკისელმა ახალგაზრდამ, მათ შორის იყო 4 შშმპ, რომელთაგან ერთი დასაქმდა სოციალურ კაფეში. კაფეში სულ 3 ახალგაზრდა დასაქმდა. ჭრა-კერვის კურსები გაიარა 12-მა ახალგაზრდამ, რომელთაგან 3 აგრძელებს მუშაობას სამკერვალოში.

47. ა.(ა).ი.პ „არქიდი“, პროექტი - „არტისტების რეზიდენცია და საწარმო“ (დაფინანსდა 19 085 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 518 ლარს და 20 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო იმერეთის რეგიონში, სოფელ ობჩაში არტისტების სახელოსნოს მოწესრიგება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საჭირო სამუშაო მასალების შექმნა და ადგილზე ჩატანა; მონაწილეების შერჩევა; არტისტული ვორკშოპების გამართვა; სოფელ ობჩაში მოეწყო ადგილობრივი არტისტების, ასევე იმერეთის უნივერსიტეტების ხელოვნებისა და დიზაინის ფაკულტეტების სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა და მომზადდა არქიდის ვებგვერდი. პროექტის უშუალო ბენეფიციარების რაოდენობაა 30 ახალგაზრდა (26 სკოლის მოსწავლე; 4 სრულწლოვანი გოგონა) ადგილობრივი და მეზობელი სოფლებიდან. პროექტის ბენეფიციარები არიან ასევე ობჩისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რომლებიც დაესწრნენ გამოფენებს.

48. ა.(ა).ი.პ „მომრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის“, პროექტი - „ახალგაზრდები მაღალმთიანი რეგიონებიდან“ (დაფინანსდა 17 696 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 2 406 ლარს და 20 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასული 16 რუბრიკის საშუალებით საზოგადოებას მაღალმთიანი რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები გაეცნო და მათ პრობლემებსა და ინტერესებზე ჰქონოდა ინფორმაცია. სიუჟეტები ყოველ ოთხშაბათს გადაცემა „იმედის დილის“ ეთერში გადიოდა. პირველი სიუჟეტი მესტიაში მცხოვრებ ახალგაზრდებს და მათ პროექტებს დაეთმო. შემდეგი სიუჟეტი ლენტეხში მცხოვრებ ახალგაზრდებზე იყო. შემდეგი ორი გადაცემა მაღალმთიან აჭარაში

ახალგაზრდებს დაეთმოს. აჭარის შემდეგ მოხდა წყალტუბოში გახსნილი სოციალური კაფეს გადაღება და ადგილობრივი ახალგაზრდების ჩაწერა. შემდეგი თემა იყო სოციალური საწარმო ბორჯომში, მას შემდეგ ასევე სოციალური კაფე რუსთავეში, ასევე სოციალური საწარმო შიდა ქართლში და თუშური პროექტი სოციალური საწარმო სოფელ ალვანში. სულ ბოლოს ეთერში გავიდა სიუჟეტი, რომელიც 16 გადაცემის შეჯამებას წარმოადგენდა, თემით - „რა სურს ახალ თაობას“.

49. ა.(ა).ი.პ „ფარი 2009“, პროექტი - „ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით "შურუბუმუ"-ს კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიზიტორთა თავშესაფრების კეთილმოწყობა და ტურისტული ინვენტარით მათი უზრუნველყოფა“ (დაფინანსდა 24 589 ლარის ოდენობით).

პროექტის ფარგლებში სამეგრელო-ზემო სვანეთში, „შურუბუმუ“-ს კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე სრულად მოწესრიგდა ტურისტული ინფრასტრუქტურა და შეძენილი იქნა ბიუჯეტით გათვალისწინებული ტურისტული ინვენტარი. დასუფთავდა საფეხმავლო ბილიკები, გაკეთდა ბონდის ხიდი, კეთილმოწყობა 3 ტურისტული თავშესაფარი, მოეწყო ფიცრული საპირფარეშოები, ჩაიდგა ნაგვის ორი კონტეინერი, მოხდა ტერიტორიის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, შეძენილ იქნა ტურისტული ინვენტარი. პროექტის ბენეფიციარები არიან ვიზიტორები (ტურისტები, შშმ პირები, სოციალურად დაუცველი პირები), ადგილობრივი მოსახლეობა. ბენეფიციართა რაოდენობამ გადააჭარბა 12 000-ს.

50. ა.(ა).ი.პ „სვანეთის რეგიონალური განვითარების ცენტრი“, პროექტი - „სვანური ტრადიციული რეწვის და სუვენირების სოციალური საწარმო“ (დაფინანსდა 23 460 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 1 298 ლარს და 55 თეთრს).

პროექტის მიზანი იყო ტრადიციული სვანური რეწვის განვითარება, რომელშიც მოხდა მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვა, დამზადდა ტრადიციული სვანური სუვენირები (ქუდები, ნაბდები, ხის ნაკეთობები, მუსიკალური საკრავები და სხვა). პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მოეწყო სახელოსნო და აღიჭურვა სათანადო ინვენტარით; მოხდა პედაგოგების/ოსტატებისა და მოსწავლეების მობილიზება; დაიწყო ინტენსიური სასწავლო პროცესი და პრაქტიკული საქმიანობა, ნიმუშების დამზადება. სასწავლო სამუშაოებში ჩართული იყო 25 ბენეფიციარი: 13 გოგონა მუშაობდა თექის სახელოსნოში და შეისწავლა თექაზე მუშაობა, ხოლო 12 ბიჭი ჩართული იყო ხის სახელოსნოში და შეისწავლა ხეზე კვეთა.

51. ა.(ა).ი.პ „საინფორმაციო ბანკი-საქართველოს ახალგაზრდობა“, პროექტი - „Youth Georgia (ახალგაზრდული საქართველო)“ (დაფინანსდა 21 219 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 366 ლარს და 95 თეთრს).

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი „ალერდი 2016“, რათა მომხდარიყო იმ ახალგაზრდების წახალისება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მოთხრობების, ნოველების, ჩანახატების წერით. ასევე ჩატარდა ფოტო კონკურსი და სტატიების კონკურსი. შეიქმნა საინფორმაციო ვებგვერდი, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს ინფორმაციის მიღებაში - განათლების, გართობის და დასვენების მიმართულებით. ლიტერატურული კონკურსი „ალერდი“, ფოტოკონკურსი „ახალგაზრდობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი“, სტატიების კონკურსი „მზრუნველობამოკლებული, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების პრობლემატიკა“-ეს სამივე პროექტი წარმატებით განხორციელდა. კონკურსებში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა ახალგაზრდამ. მოხდა გამარჯვებულების დაჯილდოება. პროექტის უშუალო ბენეფიციარია 27 ახალგაზრდა.